თეატრი

გაზეთი ღირს:
ერთის წლით—5 მ. ნახევარის წლ.—3 მ. ცალკე №-რი 15 კ.
ხელის-მოწერა და -ერ ლების გაგზავნა შეიძლება
ამ ადრესით: Тифлисъ, въ контору „Театръ.“

№ 6

რედაქცია არ კისრულობს წერილების უკან გაგზავნას
და მათ შესახებ მ წერ-მოწერას.
გაზეთში დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს უნდა
ჰქონდეთ მოწერილი სახელი, გვარი და ადრესი ავტორსა.

კვირა 3 თებერვალი. 1885 – 1890 კვირა 3 თებერვალი.

ქართული საკვირაო გაზეთი

თეატრი

ამ 1890 წელს გამოვა კვირაში ერთხელ, ახალის თანამშრომლების მონაწილეობით.

რედაქციაში მუდმივ მონაწილეობას მიიღებს. თ. აკაკი წერეთელიც. გაზეთის გარდა, რომელიც თავ-თავის დროზედ აუცილებლად გამოვა, ხელის მომწერლებს დაურიგდებათ უფასოდ ექვსიდამ თორმეტამდე ახალი წიგნი ანუ სურათი.

ხელის-მოწერა მიიღება „თეატრის“, კანტორაში, ქ. თბილისში, სასახლის ქუჩაზედ, საადნაურო ბანკის თეატრის ქვეშ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ контору газеты „ТЕАТРЪ“.

ქართული თეატრი
კვირას, 4 თებერვალს
ბენეფისი
კ. ს. მესხისა.

წარმოდგენილი იქნება ახალი ოთხ მოქმედებიანი პიესა

რუსთაველი

მოთამაშენი: ქ.ქ. ავალიშვილისა, მელიქიშვილისა; ბ.ბ, მესხი, სვიმონიძე, გუნია, ბენეკანოვი, ცაგარელი და სხვ.

—

სამშაბათს 8 თებერვალს
ბენეფისი
ნ. მ. ვაბიუნიანცი
წარმოდგენილი იქნება:

ლაგიდარაბა

კომედ. 3 მოქმედ. დ. ერისთავისა.
მე მინდა ანქინა გავხდე
კომედ. 2 მოქმედ. ზ. ანტონოვისა.
მოთამაშენი; ქ. სიფარიანოვისა, ვასუნია, ჩერქეზოვისა, მელიქიშვილისა; ბ. ბ. ანაშიძე, მესხი, ბენეკანოვი, გუნია, სვიმონიძე, ცაგარელი და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
დასაწყისი 8 სათზე

თფილისი, 3 თებერვალს.

ბევრის გულ-მწვავისა და საუურადღებო კითხვების აღძვრას ვაპირებთ ჩვენის დაქსაქსულ ცხოვრების შესახებ, ხოლო ძათი გარდ-წყვეტა ჩვენ მიერ მეტად საძნელო იქმნება, თუ ჩვენი განათლებული საზოგადოება არ დაგვეხმარა და მასალა მაინც არ მოგვაწოდა. მივანებოთ თავი ამისთანა კითხვების, არა ვსთქვათ რა,—რადა მწერალობა თუ ეკვლა სტეჭვო კითხვას, რის პასუხის მიცემაც თვითონ არ შეუძლიან, ძალად თვალს აარიდებს, ვსთქვათ და... რა გამოვა, თუ სხვაშიაც ისეთივე ეჭვი აღვძარით, როგორიც ჩვენს გულსა ჭსრავს. დავფარეთ ჩვენი სენი და არ მოვსძებნოთ ესლავე განმკურნებელი წამალი — ვაი, თუ მერე ისე მოგვეღოს ბოლო, რომ მონანიებაც ვეღარ მოვასწროთ. სჯობს ისევ ვსთქვათ.

ეი ერთი ამისთანა კითხვა. ამიერ და იმიერ საქართველო ერთმანეთს: ერაფერში არ ჩამოუვარდებიან. ბუნება აქაც და იქაც ისე საუცხოოა, რომ ამ ორის მსარეს მკვიდრთა შორის, სხვადა-სხვა ტომს რო ეკუთვნოდენ, ბურის თვალით ცქერა არ შეუსწუდებოდა. მდებიარობა ორივეს ერთგვარია და იმერეთს ის უპირატესობა აქვს, რომ ზღვის პირად ძევს და ცოტა მოშორებულ ადგილებს რავდენიმე მდინარე ერთებს ზღვასთან. ხალხი ორივე ადგილს მეტად ნიჭიერია; იმერელი უფრო ჭკუა მახვილი, გამჭრიახი და მოხერხებულიც არის. სწავლა-განათლებას ამიერნიც და იმიერნიც ადვილად ითვისებენ. წარსული ჩვენი დიდება ორივეს თანასწორად გვეკუთვნის. ტანჯვა ერთნაირად ვეინასავს. ამ დროის ცხოვრების პირობანი და კანონი ერთია. ერთის სიტყვით, ბუნებისაგან და გარემოებისაგან ყველაფერი უსვად გვაქს მონიჭებული, იმერეთს უფრო მეტი და არა ნაკლები, და რისთვის არის, რომ საზოგადო ბრივი ცხოვრება ამერეთს უფრო ეტეობა?.

ავიღოთ რავდენიმე მაგალითი და ვნახოთ: თანაბრად არის განაწილებული შრომა ამერეთ-იმერეთში, თუ არა?

ჩვენი ჟურნალ-გაზეთობა სულ ამერეთში არის და აქაურს მკვიდრთა თანასწორით იბეჭდება. მეუდარებელი უმრავლესობა ჩვენის მწერლებისა ამერეთიდან არიან, თუმცა განათლებულნი და მაღალ სასწავლებლებში კურს შესრულებულნი იმერეთში უფრო მეტია. ახალი წიგნები ამერეთში იბეჭდება. საერო სკოლები, ცალკე ჰირთა თანასწორი, ჰირველად აქ დაარსდა. თეატრი აქ არის და იმერეთში-კი ჯერ ფესი ვერ მოიდგა. სხვა-და-სხვა სასარგებლო წრე და საზოგადოება აქ იბადება და სურამის მთას თითქმის ვერ გადაასწევს სოლომე. საზოგადო საქმისადმი გულშემატკივრობა აქ უფრო ცხადად სჩანს, ვიდრე იქა. წინამძღვრიანთ სკოლის გამო, მაგალითად, მთელაფერი ერი ერთ-ერთ ... [illegible]

ფელეტონი

გულდა.

ერთი რამე შემინიშნავს,
მაგრამ ჩუმად ვეტყვით ყურში:
ჩვენში თურმე ბევრი ვრის
კაკვაკი და თუთიყუში.

სხვისი ენრით მოაზრე და
სხვისი სიტყვით მოუბარი,
ვით ბრძენი და მკვირ-მეტყველი,
ბა, ჩვენში ვინ არ არი?

ერთი ნახვით ვერ შეატყობთ:
იჩენს გრძნობა, გონებასა,
რადგანც, ვითომ თავის ბარგად,
ატარებს სხვის ქონებასა.

და თუ ნახეთ მეორეთაც
ის ნასწავლი სოფარი,
თუთიყუში გამოდგება
წარა-მარად მოუბარი.

აკაკი.

ეპისტოლე

წუალტუბელისა ოდიას . . . მიმართ.

გამოჩენილო იურისტო, ჭეშმარიტო პოეტო, სახელოვანო ფინანსისტო, ფილოსოფოსო და მეცნიერო, უალრესო პოლიტიკოსო და პუბლიცისტო, ბატონო ილია!

მადლი უფლისა ჩვენისა იყავ თქვენ ზედა! მას ჟამსა შინა ჩვენ მისთვის მოგმართეთ თქვენ, შესახებ „ივერიის“ პირველ ნომრის უწესოებისა, რომ რედაქტორი ამ ბედკრულ გაზეთისა გვეგონეთ თქვენ, რადგანაც მასზედ თქვენი გვარი და სახელი აწერია. მაგრამ აღმოჩნდა, სამწუხაროდ, რომ ჩვენ შემცდარი ვყოფილვართ: რედაქტორი „ივერიისა“, თურმე თქვენ კი არა ბრძანებულხართ, არამედ ვილაც „ჩიტი-ჩიორა“ ყოფილა, როგორც გამოაცხადეთ თქვენ ეს საქვეყნოდ „ივერიის“ მე-22-ე ნომერში. ჩვენ რაღა გვეთქმის მის მეტი, რომ ბოდიში უნდა მოვიხადოთ თქვენ წინაშე და ღვეის შემდეგ ჩიტი-ჩიორასთან უნდა დავიჭიროთ საქმე და მას გაუწიოთ ანგარიში. მაშ, თუ ჩვენ ამას იქით, ისე პატივისცემითა და თავაზიანად აღარ მოგეპყრათ «ივერიის» რედაქტორს, როგორც ამდენხანს ვეპყრობოდით, ბრალი თქვენი იყოს.

ჩემო ჩიტუნია, ჩიტო-ჩიორა! რა გაწყენინეთ მისთანა, რომ აპილპილებულხარ, ქანდარაზე ვეღარ დამაგრებულხარ?! ჩვენ მხოლოდ ის მოგახსენეთ, რომ თქვენ გაზეთს „ივერიას“, პატრონობის ნაცვლად, დედი-ნაცვლობას უწევთ, რიგიანად თვალ-ყურს არ ადევნებთ, წამბილწველ ძიძებსა და გამდლებს ჩაუგდეთ ხელში; ხელის მომწერლებს კი უსამართლოდ ეპყრობით, და, არა თუ ჩვეულებრივ დროს, არამედ ახალ წელი წადსაც კი ლანძღვა-გინებით აღვსებული და დამძაღებული ნომრით აბერებთ (*). ამის მეტი ხომ არაფერი გვითქვამს და გვიკადრებია? მაშ გაწყრომა რათ ინებეთ?!

მართლაც, საკვირველია, რათ გწყენიათ მართლის თქმა! თქვენ ხომ ჭეშმარიტება ყოველ საქმეში ძრიელ გიყვართ, როცა თქვენ თვითონ არ შეგეხებათ იგი? ან კიდევ, თუ თქვენ მართალი ბრძანდებოდით და ჩვენა ვსცდებოდით, რატომ პირ-და-პირ არ მოგვეცით ჩვენ კითხვებზე პასუხი? რად დასტოვეთ უმთავრესი და უსაჭიროესი საკანი უყურადღებოდ და უპასუხოდ? წილა-დობილას რისთვის მოჰყოლიხართ? ნუ თუ ამითი ფიქრობთ აუბათ ვისმეს თვალები და გამოიძერინოთ თავი საზოგადოების წინაშე იმ ძმიმე ულელისაგან, რომელიც თქვენ გიკისრნიათ!

რომ კვეხულობთ და ბრძანებთ: „მუდამ რედაქციაში გახლავარ და უჭემოდ არაფერი არ იბეჭდება ჩემს გაზეთშიო“, ეს ხომ ნაძდვილი სიცრუვე გახლავს. რედაქციაში კი არა ბრძანდებით და მის მახლობლად კი გიყვართ ფრენა და ცხოვრება, მაგრამ ამისი მიზეზი სულ სხვა გახლავს: საკენკს მოელით, ჩემო ჩიტო-ჩიორა! ან კიდე და, რედაქციაშიდაც რომ იმყოფებოდეთ, რა გამოვიდა, თუკი გაზეთისოვის არა გცალიათ და სულ სხვა საქმეს უნდებით დღე და ღამე! მაშ, ის არა სჯობდა, ჩემო ჩიტო-ჩიორა, გამომტყდარიყავით და გეთქვათ, თქვენებურად, მოცალება არა

(*) იხილე „თეატრი“ № 2

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი ქართლ-კახეთი შეიძრა, ეჩქარა-ძნიდვანაცვალი შვილა და ნუგეში მოგვეცა, იმერეთი-კი ჯერ ეურს არ იბერტეს .. რისგან არის?

მართალია, დედა ქალაქი თეელის საქარაველოისა – თფილისი—მეფლადგანვე კავკასიის შუაგულად ითვლებოდა, უკეთესი და შინაურის ეურადღებას იბერებდა და ეველა მას ელტვოდა; სწავლა-განათლება და საზოგადოებრივი სიცოცხლე აქედგან იწყებოდა. მაგრამ ესეთი განსაკუთრებითი მნიშვნელობა თფილისმა დიდ ხანია დაკარგა. რკინის გზის შუაგულ იმერეთზე გაეგანით და მთელ ევროპასთან ჰირის-ჰირ შეერთ იმერეთმა შეიძინა იშვიათი იარაღი ცხოვრების წინ-მსვლელობისა. კავკასიაში ხელმწიფის მოადგილობის მოსპობის შემდეგ, თფილისმა თითქმის დაკარგა უწინდელი მნიშვნელობა და იმერეთს თანდათან შეეძლო მთელი ქვეყნის საქმე ხელში მოეგდო, მაგრამ, საძწუსაროდ, იმერეთი ჯერ ვერ მიხვდა თავის, შედარებით, ბედნიერი გარემოების მნიშვნელობას; ვერ იგრძნო მოვალეობა მთელის ქართველის ერის წინაშე და, არამც თუ ქვეყნის წინამძღოლობა ვერ იკისრა, თავისთვისაც-კი სულიერი საზრდო ვერ გაიჩინა. აქამდის იმერეთში ერთი უსეირო გაზეთიც არ არის, რომ გულის-თქმა თავისებურად წარმოსთქვას და ეოველ თავის

ნაფიქრალს და ნამოღაწევს თავისი საკუთარი ბეჭედი დაასვას.

რა მიზეზია?...

ეობა.

აღმოსავლეთით გამოჩნდა ვარსკვლავი „სჯულის ცნობისა", ჯერ უნასველი კაცთაგან, უცნაურ სხივოსნობისა!

—

გაჰკვირდენ ვარსკვლავთ მრიცხველნი,—
ვერ მისწვდა მათი გონება...
ინიშნეს მხოლოდ მოგვეებმა
და იგრძენეს უფლის მონება.

—

ჰფიქრობდენ ქვეყნის მეფრობელის
ამ ქვეყნად დაბადებასა;
თან მიჰყვენ ვარსკვლავს მიმავალს
ჰგალობდენ ქებათ-ქებასა.

—

გაჩერდა ბეთლემს მნათობი,
ქვაბზე სსივები დაჰფინა.
სთქვეს მოგსაურთა: „აქ არის
ახალ შობილის, სჩანს, ბინა"!

—

შეეიდენ, ნახეს მწოლარე
ბაგაში საკვირველი ერმა.
ნაცვლად „მზე მინის" ისმოდა
ანგელოსთ საამური ხმა!

—

ხედავენ ღარიბ-სახვევში...
არსად სჩანს ხოჯიჯ-აკვანი!...
დაეძხვენ მის წინ მორჩილად,
სასოებით სცეს თაყვანი.

—

ოქრო, გუნდრუკი და მური
შესწირეს ახალ-შობილსა

და უგალობდენ სიმდაბლით
საგალობელსა წეობილსა:

—

„დიდება ეოვლის შემოქმედს!
დიდება მისსა მცნებასა!...
დიდება ქვეენად მაცხოვრის
ხორციელ მოვლინებასა"!...

აკაკი.

ნათლისღება

(ვეძღვნი პატარა ილიოს)

კურთხეული კიდით-კიდე
მადლით ღელავს იორდანე,
შიგ სდგას ერი და ნათელს
ერთად წმინდა იოანე.

—

არე მარეს, იქ მღელვარეს,
მიმოავლო ლოცვით თვალი
და იხილა შორით სერზე
მგზავრი, მშვიდად მომავალი.

—

ერს შეჰეეირა: «აჰა, მოვალს!"
და უჩვენა მგზავრი თითი,—
ეს ნათელს ვსცემ მხოლოდ წულითა..
ის ნათელს სცემს სულით წმიდით!

—

მოახლოვდა მგზავრი, მდაბლად
მოიკითხა იოანე..
უთხრა: „მოგეალ ნათლის ღებად,
მეც გამწმინდე და გამბანე!"

—

ჩადგა წეალში. იოანე
ნათელს-სცემდა წმინდა წულითა
და იმავ დროს მტრედის სახედ
გადმოვიდა სული წმიდა.

აკაკი.

ადგილობრივი ამბები.

კვირას, იანვრის 28-ს, ქართული დრამატ. დასის არტისტებმა ბ. ვ. ა. აბაშიძის საბენეფისოდ წარმოადგინეს პირველი და მეორე მოქმედება „ვაი ჭკუისაგან", მეორე მოქმედება აქ. ცგარლის კომედიიდამ „ხანუმა" და რ. ერისთავის ორ მოქმედებიანი ვოდევილი „ჯერ დაიხოცნენ—მერე დაქორწილდნენ". მონაწილეობას ილებდა მთელი დასი და ყველანი მხიარულად და მოხდენილად თამაშობდნენ. ქართული დასის საუკეთესო წარმომადგენელნი: ქ. ქ-ნი საფაროვისა, ვაბუნია-ცაგარლისა, ბ.ბ. ვ. აბაშიძე და კ. მესხი თავიანთის ნიჭიერის თამაშობით, თითქოს ერთი ერთმანერეს ეჯიბრებოდნენ და განუსაზღვრელს აღტაცებაში მოყავდათ მაყურებელთა საზოგადოება. ხალხი საკმაოდ დაესწრო, თუმცა არც იმდენი, რამდენისაც ფიქრი და მოლოდინი გვქონდა. მობენეფისეს სიჩუქარი მიართვეს.

—

ჩვენ შეეიტყეთ, რომ თფილისის ერთს სასწავლებლის ქართველ მოწაფეებს წინამძღერიანთ-კარის სკოლის სასარგებლოდ შეუკროვებიათ ფულად 30 მ. და ამ მოკლე ხანში გადასცემენ ამ სკოლის პატივცემულ მზრუნველს.

—

ჩვენ ეფიქრობდით, რომ თფილისის საზოგადო ბიბლიოთეკაში მაინც იქნებოდა ყველა ის წიგნები და ჟურნალ-გაზეთები, რომელნიც კი როდისმე დაბეჭდილა ქართულს ენაზე; აღმოჩნდა, რომ არამც თუ ყვილა წიგნები, არამედ ჟურ. „ცისკრის" ჯოგიერთი წლის ნომრებიც არ მოიძებნება აქ. ასე რომ, თუ ვისმე კერძო პირს არა აქვს შენახული მთელი კრებული ამ გამოცემისა, ყოცლად

მაქვსო. ეს ნამდვილი ჭეშმარიტება მაინც იქნებოდა, მაგრამ საზოგადოება და ხელის მომწერლები რა შუაშია, თქვენ რომ არ გეცალოსთ? რაკი საქმე გიკისრნიათ და წელიწადში ჩვენ ღარიბ ხალხს ათას თუმნამდის ხარჯს ახდევინებთ, კიდეც უნდა გცოდნოდათ, რომ მოვალე ბრძანდებით ამ ხალხის წინაშე ნამდვილი, სასარგებლო და ფასის შესაფერი სულიერი საზრდო მიაწოდოთ მას. ესეც ხომ კარგად გესმის, რომ ჩვენი ხალხი ათას თუმანს სხვა არაფრისთვის არ იმეტებს წელიწადში. მაშასადამე, სჩანს რომ სულიერი საზრდო მას ძრიელ მოშივნია. იმ ფულით, რომელსაც თქვენ მას ახდევინებთ, ხომ ბევრად უფრო კარგად გაკეთდება ის საქმე, რომელიც თქვენ გიკისრნიათ, მაგრამ არ ასრულებთ კი. თუ თქვენ არა გცალიათ ანუ, ვინიცობაა, არ შეგიძლიათ, ის არა სჯობია და უფრო პატიოსნება არ იქნება, თავი დაანებოთ გაზეთს, სხვას დაუთმოთ... თქვენ ხომ არასოდეს არ იკადრებთ და არც ისე ღარიბი ბრძანდებით, ღვთის მადლით, რომ ფულების ინტერესისთვის შაიწუხოთ თავი!...

აი, თქვენ სწორედ ამაზე უნდა

გეფიქრნათ კარგად და მოგეცათ ჩვენთვისა და თქვენი გაზეთისხელის მომწერლებისათვის გულ-ახდილი პასუხი, ან თავი უნდა გაგემართლებიათ რითიმე და, ან კიდევ ბოდიში უნდა მოგეხადათ. წილა-დობილობა რა საჭირო იყო, ბატ. ჩიტო-ჩიორა! ან რათ გეკადრებათ თქვენისთანა დარბაისელ ჩატუნიას, რომ მოგვდომილხართ და ილანძღებით ისე საძაგლად, რომ თქვენ კი არა და, თქვენ ყურ-მოჭრილ ყმებსაც, რომლებიც თქვენი ნასუფრალით იკვებებიან, ფეხებს გილოკვენ და გუნდრუკს გიკმევენ, იმათაც კი არ ეკადრებათ ხოლმე!..

ან ეს რა საკადრისია, რომ არც კი თაკილობთ თქვენ შეცდომას და იკვეხნით კიდეც: ვიცოდი კიდეცა, წავიკითხე და დავბეჭდე კიდეც თქვენი დაწუნებული ნომერიო! რითი კვეხულობთ? მითი, რომ პირველ ნომერში, ახალ-წელიწად დღეს მიულოცეთ თქვენ მკითხველებს ლანძღვა და უპატიურება... დიაღ, კვეხულობთ მითი, რაც ყოველ გონიერსა და თავ მოყვარე კაცს უნდა მიაჩნდეს სათაკილოთ! ნუ თუ ის, რაც ყოველ რიგიან საზოგადოებაში ითვლება უზრდელობათ... მწერლობაში უკრო სადეევნელი და აკრძალული არ უნდა იყოს?! ..მაგრამ ასე არ ესმის რედაქტორს ჩიტი-ჩიორას და ის თავის გაზეთის უზრდელობით კვეხულობს, თავი მოსწონს ამითი და უკვირს კიდეც, რომ სხვებიც არ უწონებენ ამას, და, რაკი არ უწონებენ-გამოდის და ანთხევს თავის გესლს მათზედ, ვინც გაუბედა და მეგობრულ შენიშვნა მისცა! ეს ხომ სწორეთ ასე გახლავს, ჩიტო-ჩიორა?

ეხლა ისიც გვიბრძანეთ, როდის, ან სად მოგახსენეთ მე, რომ გამოჩენილი მწერალი გახლავარ და რაიმე სამსახური მიმიძღვის საზოგადოების წინაშე? მაშ რა საჭირო გახლდათ, რომ მოყოლიხართ და გიანგარიშვიათ, როდის რა, და როგორ დამიწერია? თუ კიდევ მოცლილი ბრძანდებოდით, რატომ ის კი არ მოიხსენიეთ თქვენს უებარს ანგარიშში, რომ წყალტუბელი ერთ დროს ჟურნალ «მნათობს» სცემდა, რომელსაც ათასი თუმანი კი არა, ათი თუმანიც არ შემოსდიოდა ხელის მომწერლებისაგან, მაგრამ მაინც კიდე ბევრად სჯობდა თქვენ გაწყალებულსა და დაობებულ „ივერიას", რომელიც სამას თუმნამდის მარტო

ჩვენი ბანკებიდგან ილებს წელიწადში. რათ დაგავიწყდათ, რომ, როცა ქათამი წყალს დალევს, ღმერთს შეხედავს. თქვენც ხომ ფრინველი ბრძანდებით, „ჩიტი-ჩიორა"! წყალტუბელს ცოტა სხვაც რამე გაუკეთებია, თუგინდ პედაგოგიურს ასპარეზზედ, მაგრამ მიტომ კი არა, რომ თქვენსავით ათასობით და ათი ათასობით დიეიდენდებს მოელოდა. მაგრამ, რაც უნდა იყოს, თქვენ ისეთი "ჩიტი-ჩიორა" ბრძანდებით, რომსხვა ფრინველების თქვენთან ხსენება რა საკადრისია! თქვენა ბრძანდებით მარტო, ერთად-ერთი, თქვენა ჩვენი ქვეყნის ბურჯი და მიტომაც ხომ ყველაფერი საქმე თქვენ ხელში გახლავთ, თუმცა კი არც ერთისთვის დრო და მოცალება არა გაქვსთ. მხოლოდ ეს კი ნუ დაგავიწყდებათ, რომ ვისაც ბევრი მისცემია, მას ბევრიც მოეთხოვება. და აი, ჩვენც ამ საფუძველით ვითხოვთ თქვენგან, ჩიტო-ჩიორავ, გაზეთის კარგად მოვლას, გაუმჯობესობას და ხელის მომწერლების სამართლიან მოთხოვნილების რიგიანად დაკმაყოფილებას...

ჩვენი უმეცრების დასამტკიცებლად თქვენ, ბატ. ჩიტო-ჩიორა, ეხებით უკანასკნელ ჩვენ «წერილს შეიცარიელ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეუძლებელი იქნება იმისი მოპოვება. გარდა ამისა, აქ არც საბინინის „საქართველოს სამოთხე“ და არც პეტერბურგში დაბეჭდილი ქართული წიგნებია...

—

„ივერიაში“ ვკითხულობთ: მზრუნველმა სასოფლო მეურნეობის სკოლისამ სოფ. წინამძღვრიანთ-კარში ბ.ნმა ი. წინამძღვრიშვილმა ეხლა-ხან მიიღო ეჩმიაძინიდგან ერთის არხიეპისკოპოსისაგან სასარგებლოდ სკოლისა ორი თუმანი და მასთან საყურადღებო წერილი. მისი მაღალ ყოველად უსამღვდელოესობა ეხლანდელ ქართველთა და სომეხთა მდგომარეობას ნათლად ჰხატავს თავის წერილში და ამბობს, რომ ამათი კეთილდღეობა და წარმატება მაშინ იქნება მკვიდრი, როდესაც ისინი ყოველ კეთილ საქმეში ძმებსავით ერთად იმუშავებენ და იღვაწვენო.

—

ჩვენ დაჭეშმარიტებით შევიტყეთ, რომ ქ. თელავში მალე სტამბის გამართვას აპირობენ.

ჩვენ და სასიხარულოდ, ქართველობა თან და თან იღვიძებს და ხელს ჰკიდებს ისეთს საქმეს, რომელიც წმინდაც არის და სახეიროც.

—

ერცელი თხზ. გენერალის ქიშმიშოვისა «ნადირ შაჰის გალაშქრება ინდოეთში», რომელიც დიდხანს გაზ. «Кавказъ»-ში იბეჭდებოდა, გადმოუთარგმნია ქართულად ბ-ნ ი. კერესელიძეს და ნაწილ-ნაწილად დაიბეჭდება „ივერიაში“. შემდეგ თურმე ცალკე წიგნადაც გამოვა.

—

ამ დღეებში ბ-ნმა ვ. გუნიამ დაბეჭდა პატარა «უბის წიგნი», რომელშიაც, სხვათა შორის, მოთავსებულია ყოველ დღიური საჭირო საკალენდარო ცნობანიც. წიგნი სუფთად არის შეკრული, მოვარაყებულს ყდაშია ჩასმული და ღირს ორი აბაზი.

—

ჩვენ ვნახეთ ძველი პატარა სახარება წვრილი ხუცურის ასოებით პერგამენტზედ დაწერილი, რომელშიაც მოთავსებულია ოთხივე წმინდა მახარობელის სურათი. სახარება ძველის ძველ ვეცხლის ყდაშია ჩასმული, აქამდის ყოფილა შენახული ა. ყ ზიბეგის ოჯახში და ეხლა აქ ჩამოუტანია პატივცემულს ბელეტრისტს, რომ ეს ძვირფასი განძი „წერა-კითხვის საზოგადოებასა“ შესწიროს.

—

მეორე წიგნი კრებულის „ცდისა“ ამ ქამად ცენზორის ხელშია და მალეც შეუდგებიან მის ბეჭდვას ქ. ქუთაისში. ამ წიგნში იქნებიან მოთავსებული შემდეგი თხზულებანი: 1, ილიადი თარგ. მ. ფაზელისა. 2, პირველი ნაბიჯი, მოთხ. გ. წერეთლისა. 3 ლექსები მ. ფაზელისა და სილოვანისა. 4, ციმბელინი (შექსპირითგან) ს. ყ—ისა. 5, სოფლის სურათი სილოვანისა. 6, სახალხო ლექსები და 7, ეშმაკების ბუდე, კომედია დუტუ მეგრელისა.

—

«ივერიის» სწერენ სოფ. საბუედგან, რომ იქაურს გლეხებსა და თ.ი. ჯორჯაძეებს შორის უსიამოვნობა ჩამოვარდნილა სადაო მთის შესახებ. ამ ახლად გაჩენილმა უსიამოვნებამ ყურადღება მიიქცია და ბ ნი გუბერნატორის განკარგულებით გაგზავნილ იქმნა სოფ. საბუეში ოფიცისის მაზრის უფროსი თ. ლ. ჯანდიერი.

—

წარსულს ნომერში დავბეჭდეთ ქუთაისიდან მოწერილი ამბავი, ბ-ნი ჩაიკოვშვილის შესახებ, და ჩვენი აზრის წარმოთქმა-კი მაშინ ვერ მოვასწარით. ეხლაც მომზადებული წერილი ძალა-უნებურად შემდეგისათვის გადავდეთ, რადგანაც გაზეთში ადგილი აღარა გვქონდა.

ქართული თეატრი.

(«ხათაბალა», კომედია 4 მოქმედებად და 5 სურათად, თხზულება გ. სუნდუკიანცისა).

სამშაბათს, ივნვრის 30-ს, ქართული თეატრის არტისტებმა ბ ნ გედევანოვის საბენეფისოდ წარმოადგინა კომედია სუნდუკიანცისა „ხათაბალა“.

პიესა თფილელ ვაჭრების ცხოვრებიდგან არის აღებული და ნამდვილის ხელოვნებით ხატავს იმათ ზნე-ჩვეულებას, სასაითსა და ურთიერთს შორის დამოკიდებულებას. განსაკუთრებით უმეტესკლებად არის გამორკვეული ყოფა-ქცევა და საქციელი მდიდარი ვაჭრის, გარასიმ ივანულიჩ ზამბასოვისა. დასარჩენი პირების დასურათებაც ეთანხმება პიესაში გამოსატული მოქმედთა ყოფა ცხოვრებას. მხოლოდ უკანასკნელი სურათი პიესისა ისეთი პროტოკოლური სიაშკარემდის დაუყვანია პატივცემულს ავტორს, რომ მაყურებელზედ ცუდსა და უსიამოვნო შთაბეჭდილებას მოახდენს სოლმე. ზამბასოვის გასათხოვარი ქალი, რომელსაც მამა იმისი «საქონელს» (товаръ) ეძახის, გამოჰყავთ გიორგი მასისიანცის დასანასვებლად და ეს უკანასკნელიც დიდ ხანს სინჯავს ამ უნო და პირუტეკს საქონელს. აქ კომიზმი პიესისა მეტის მეტად გაზვიადებულია და თქვენ მაინც, რაც უნდა იყოს, გებრალებათ უბედური ადამიანის შვილი, გასათხოვარი ქალი მარგალიტა. აქ გიორგიმაც არ იცის, რა ჭქნას ამ მოუსრსებელსა და ავტორის მიერ გამოურკვეველს სურათში და... გაშტერებულია.

ზამბასოვის როლს თამაშობდა ბ-ნი კ. ანაშიძე ისეთის სულოვნებითა და გამორკვევით, ისეთის შეთანხმებულის გამომეტყველებით, რომ ჩვენის აზრითაც მარილი, რომელიც ზოგან ავტორს დაუკლია, შეავსო და დაგვისატა ზამბასოვმა — ანაშიძემ. არტისტი თავის ნიჭის შესაფერს როლში იყო, თავის ადგილ ეჭირა და იგი, როგორც დასულოვნებული არტისტი, ჭქმნიდა ტიპს. მართალია, მეოთხე მოქმედებაში მარგალიტას მაგიერ ნატალიას სახელი წამოსცდა, მაგრამ ეს წვრილმანი, იმ სალამოს ბ. ანაშიძეს, რასაკვირველია, მიეტევებოდა...

ბ. გედევანოვს ისაიას როლში კერ შეჭქონდა თავისებურობა; მკრთალად და უსახოდ თამაშობდა და სუსტი იყო.

გიორგის როლს თამაშობდა ბ-ნი კ. მესხი და, უნდა გსთქვათ, ერთობ სუსტად და უფერულადაც თამაშობდა.

უცხო რამ იყო იმ სალამოს ქ-ნი სოფროვისა ნატალიას როლში. იმისი ეშხიანი და მიმზიდველი თამაში ერთიანად იბურობს საზოგადოების ყურადღებას და სტაცებს ესთეტიურის სიამოვნებითა. თვით ავტორი პიესისა, ბ-ნი გ. სუნდუკიანცი და მასთან ძოელი საზოგადოება ხანგრძლივის ტაშის ცემით სშირად იწვევდა ქართული სცენის უნიჭიერეს და სასიქადულო არტისტკას.

ნიჭიერად და მოსდენით თამაშობდა აგრეთვე ქ-ნი გაბუნია-ცაგარლისა.

არა უჭირდა-რა ქ-ნ ჩერქეზიშვილისს...

საერთოდ, პიესა მსიარულად და კარგად წარმოადგინეს, მაგრამ სალხი-კი ცოტა დასწრო...

„თეატრის“ კონფერენციანი.

ქუთაისი, 29 ივნვრს. «თეატრის» მეთხვეულებმა იციან, რომ ჩვენი ასადგაზდა ცნობილი ექიმი ბ-ნი სამსონ თოფურია ითუმნებს ქუთაისში სამკურნალოს, რომელშიაც აკადმეოფვებს რჩევის მიღების გარდა, შეუძლიანთ იქონიონ ბინაც, შადარებით, ითე ფასად. ამ უკანასკნელის საგნისათვის სამკურნალოში მე მაინც კიდევ განმეორებით მოგახსენებთ, რომ თქვენ მოვალე ბრძანდებით, თქვენი ხელის მომწერლების წინაშე, გაზეთის საქმე კარგად და სინიდისიერად აწარმოოთ, ფულები ამოიდ ჯიბეში არ ჩაიწყოთ, ხარჯს არ მოერიდოთ, ნამდვილი ლიტერატორები მიიშველიოთ და საზოგადოების წინაშე პირ ნათლად გამოხვიდეთ. ლანძღვა-გინება ხომ უძლურ ბებრუცანას წესია! თქვენ რათ გეკადრებათ, ჩვენო დიდო მეცნიერო, დიდო პოეტო*) და სხ. და სხ. და სხვა, ჩიტო-ჩიორა! მაგრამ უკაცრავად, დამავიწყდა, რომ ეს ხელობა თქვენ ახალ-წელიწადს დაიბედეთ...

ჩვენ, ჩვენი მხრით, ლანძღვის ნაცვლად, ქება დიდებას შეგასხამთ და აღვიარებთ, რომ თქვენ დიდი ბუნების მეცნიერი, ფილოსოფოსი, ეკონომისტი, ისტორიკოსი, არქეოლოგოსი, გრამატიკოსი, პედაგოგი, ღვინის მკეთებელი, ქვევრების მცოდნე და მკეთებელი (კნიაზ ჭავჭავაძე ამაზედაც სწერდა!) და პოეტი ბრძანდებით, მაგრამ, სამწუხაროდ, ისიც ცხადათ და საკმაოდ დაგვიმტკიცეთ, რომ, როგორც პუბლიცისტი და დღიური გაზეთის რედაქტორი, თქვენ, ჩვენო ჩიტუნიავ... ძრიელ გონიერად მოიქცევით და კარგს იზამთ, თუ ამ საქმეს თავს დაანებებთ. გარწმუნებთ, ჩიტო ჩიორა, რომ დღეს მთელი საუკეთესო ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა, სწორეთ ამ აზრისა გახლავს თქვენზე და თქვენს გაზეთზედაც...

სალამისთვის დიდათ გმადლობ, ჩემო ჩიტო-ჩიორა. მეც უმდაბლესად მოგიკითხავთ. ამასთანავე თქვენ მშვენიერსა და უებარს სიტყვებს: „ყბადაღებულსა და წყალ-წაღებულს“ უკანვე გიბრუნებთ, რადგანაც იგინი, ერთი რომ, თქვენი შემოღებული გახლავს ლიტერატურაში და კელავ დაგჭირდებათ, მეორეც, სწორედ ზედ-გამოჭრილი გახლავსთ თქვენი გაზეთისა და რედაქციისათვის..

მშვიდობით, ჩემო ჩიტო-ჩიორა! იმედი მაქვს, რომ თავის დღეში აღარ დაგავიწყდებათ თქვენი უმორჩილესი მონა

წყალწაღებული.

მეგობართან», რომელშიაც ირონიულად გვქონდა დახატული ჩვენი ქვეყნის სიმდიდრე, და გვისწორებთ სახელმძღვანელოს შემწეობით, რომ ბრინჯაო, თითბერი და თუჯი პირ-და-პირ ბუნებაში კი არ მოიპოვება, არამედ ადამიანები ამზადებენო*). საკვირველია, ჩიტო-ჩიორა, როგორ ვერ მიმხვდარხარ, რომ თვითონ ელემენტებს მაინც კიდე ბუნება იძლევა და რენკვისტის ქარხანაში არ აკეთებენ, როგორც თქვენ მოგჩვენებიათ! თუ კიდევ, მაინც-და-მაინც, ვერ გაგიგიათ, შედარებით აგიხსნით: რომ ანბობენ, მაგალითად, რომ «ივერიის» რედაქცია სავსეა უნიჭო და უმეცარი ვილაც ქუჩის ბიჭ-ბუჭებითაო, ეს განა იმას ნიშნავს, რომ ყველა ისინი თქვენ რედაქციაში არიან შექმნილნი, შობილნი და აღზრდილნი, თუ იმას, რომ ისინი თვითონ თქვენ გიძებნიათ, გიპოვნიათ და ისე შეგიდგენიათ ეს უებრო და უბადრუკი გუნდი ბიჭ-ბუჭებისა, რათა დაგემ ვენებიათ თქვენი რედაქცია, თქვენი «ენციკლოპედიური ნიჭის» ბუმბერაზობაც მათ შორის ნათლად გამოჩენილ ყოს და თან უფრო იოლათაც წასულიყავით?.. მაგრამ ვსთქვათ, რომ ჩვენ შევსცდით. რას ჭრიხინებთ მერე, ჩიტო-ჩიორა? თქვენ თქვენი გაზეთის საშუალებით თითქმის ყოველ დღეს ავრცელებთ ხალხში მოგონილს ჭორებსა და ცრუ ამბებს და ვითი ჯერ ქვეყანა არ დალუპულა. ჩემი ერთი შეცდომით, ნეტავ, ვის რა მოუვიდა, რო მოთქვამ: „ჰო, საკვირველებავ! ჰო, სასწაულთ მოქმედებავ“! არა, ჩემო ჩიტო-ჩიორა! თქვენ თვითონ კარგად იცით, რომ მე სამეტალურგიო ლექციებს არა ვსწერდი, რადგანაც ჩემი წერილის მიზანი და კილო სულ სხვა გახლავსთ, მაგრამ თქვენ ეს ხელზე მისთვის დაგიხვევიათ, რომ თვითონ უმთავრესს საგნისათვის გვერდი აგეხვიათ, რომელზედაც მოვალე იყავით გეთქვათ რაიმე და თავი გაგემართლებიათ. თქვენ წინ ნუ მისწრობთ, საბრალო ჩიორა. მართალია, ჩიტი-ჩიორობა მოგნატრებიათ ამ სიბერის დროს, მაგრამ ყურში გიჩურჩულებთ, სხვამ რომ არ გაიგონოს...

დასასრულ, რაც უნდა იწყინოთ, ლობე-ყურეს მოედოთ და ილანძღოთ, მე მაინც ამ ერთ-ორ ადგილ ვიტყვ, ოღონ ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაწყობილი იქნება პირველ სასად ოთხი ლოგინი.

რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამისთანა ქველ-მოქმედს დაწესებულებას ჩვენში, — ამას უფრო კრცლად მოგასსენებთ ამ ექვს-შვიდს დღეში, როცა ეს საამგურნალო ოფიციალურად გაიხსნება.

დღეს კი საზოგადოების ყურადღება მსურს მივაქციო შემდეგს გარემოებას.

ბ-ნმა თოფურიამ წინადადება შეიტანა ქალაქის საბჭოში, რათა დასმარება აღმოუჩინოს ქალაქმა საამგურნალოს ოთვულ წლიგ ორი ათასი მანეთით. ამ დასმარების მაგიერ ბ-ნი თოფურია აღუთქვამს ქალაქს ოთხი ათას ბილეთის საამგურნალოში აქიმობისათვის, ესე იგი, ამ ფულს ქალაქს საშუალებას, რომ ოთხი ათასმა მისმა მოქალაქემ თავს უქიმოს მშვენიერად მოწყობილს საამგურნალოში ათ-ათ შაურად თითო მისულაზე. თუ მიიღებთ მხედველობაში, რომ დღეს, უსამგურნალობის დროს, თითოეული აუადმყოფი უნდა მიეიდეს ექიმებთან მაის კერძო სასლში, ან და შინ მიიწვიონ, რისთვისაც, სულ უკანასკნელი რომ გსთქვათ — თითო ქანათი მაინც გადასდებათ, — მაშინ უნდა დამეთანხმოთ, რომ ქალაქი დიდად მოგებული დარჩება მოსსენებულის წინადადების მიღებით; რადგანაც, გარდა იმისა, რომ იმ ორი ათას მანათს, რომელსაც იგი მისცემს საამგურნალოს, ამოიგებს საამგურნალოსგე 4000 ბილეთის ათ-ათ შაურად გაყიდვისაგან, ბილეთების მყიდველთა ჯიბეებს მოუშოებს 2000 მანათს ეგონომიას... დანარჩენს მოქალაქეებს და აგრეთვე მაზრების მცხოვრებლებს თუ მიეცემათ, მაშინ ხომ ათიათასობით უნდა კიანგარიშოთ ის სარგებლობა, რომელსაც მარტო ნიკოიერის მხრით მოგვიტანს ეს საამგურნალო. ხალხის ჯანმოელობის მხრით მისი სარგებლობა სომ ფასს დაუდებელი იქნება...

ეს არ უნდა დაიიწყოს ქალაქის საბჭომ, როცა ბ. თოფურიას წინადებაზე უქნება საჯ.

═

ქ. თელავი. ამ იანვრის 21-ს, თელავის კლუბის დარბაზში ქ. კასიმისამ და ბ. დ. აწყურელმა სცენის მოყვარეთა დასმარებით გამართეს წარმოდგენა. წარმოადგინეს „თამარ-ცბიერი", 4 მოქმედებიანი დრამა აკაკისა. დიდი ხანია ნატრობდა თელავის საზოგადოება ამ დრამის ნახვას სცენაზე და აი, დღეს აუსრულდათ კიდეც ეს სურვილი საზოგადოებას. ხალხი მრავალი დასწრო. ბევრს ბილეთი ჭქონდა და დასაჯდომი ადგილი კი აღარ იყო დარბაზში.

მოთამაშენი ერთს თვეზე მეტს ემზადებოდნენ და დიდი იმედიცა ჭქონდა საზოგადოებას წარმოდგენის მოთავესი ბ. აწყურელისა. მაგრამ თუ ასე კარგად შეისწავლიდნენ და ასე ლამაზად გინასორციელებდნენ ავტორისაგან დახატულს ტიპებს — ეს კი არავის ეგონა. ნათლად ეტყობოდათ აგრეთვე მოთამაშეებს, რომ არა დაუზოგავთ რა, რომ მოეპოვებინათ და შეეძინათ შესაფერი მოწყობილობა და ტანთ საცმელი და, შეძლებისა დაგვარად, მოერთოთ სცენაცარ შეგვიძლია რამოდენიმე სიტყვა არა გსთქვათ მოთამაშეებზედაც. ქ. კასიმისამ — თუმცა თავის მდგომარეობა სელს არ უწყობდა, მაგრამ, კიდეც ძალიც თავისებურის სიკეკლუცით დაგვიხატა დაუდეგარი „თამარ-ცბიერი" და იმისი გულის თქმის ღელვა. ბ. დ. აწყურელმა აღტაცებაში მოიყვანა საზოგადოება თავის სინამდვილის თამაშობით. ჩვენ რამდენიმეჯერ დავსწრებიავართ „თამარ-ცბიერის" წარმოდგენას თფილისში, მაგრამ არც ერთსულ არ გვინახავს ეგეთი „განსოციელებული" სუმარა მეფისა. მაგრამ ეგელა ეს ისე არ გვაკვირვებს როგორც შემდეგი: ქონდა ნ. მაჯავარიანისამ, რომელსაც პირველად ვსედავთ ჩვენს სცენაზე მეტად გასაკვირველად და უნაკლულოდ ასარულა „ცირას" როლი; მეტადრე შესანიშნავი იყო ის წამები, როდესაც ცირა გურულს შეთქმულობას უტყდება და დედოფლის მოსაკლავად ხანჯალს გადასტემს. და მეორე, როდესაც შემკრთალ გურულს ხანჯალი გავარდება ხელიდან. ცირა დაავლებს ხელს და შუტკვს ორივეს (გურულს და დედოფალს) მოსაკლავად. ეს წამი ისე საუტხოვად შასრულა ქ-ნ მაჯავარიანისამ, რომ მაუურებელს არ ეგონა, თუ მართლა არ დახოცდა ორთავეს.

აშკარად ეტყობოდა პატივ-ცემულს სცენის მოყვარეს, რომ დიდი სიბეჯითით და დაკვირვებით შესდგომოდა ამ როლის შესწავლას და იმისმა შეუდარებელმა თამაშმა აღტაცებაში მოიყვანა მთელი საზოგადოება.

ბ. ი. ზურაბოვი კარგი იყო მგოსნის როლში. მეტადრე უკანასკნელ მოქმედებაში, როდესაც „მგოსანი" შემოჭყავთ შუბორგილებული; ნამდვილის სიმართლით გადმოგვცა მგოსნის სულის კვეთება.

აგრეთვე კარგი იყო ბ. ს. მაჯავარიანი მეტადრე გურულის როლში (გურულსა და მსაჯულთ უნაცვლეს ადგენდა.) ისეთი აღტაცებით და სინამდვილით თამაშობდა ამ როლს, რომ როგორც ჩვენ შეგნიშნეთ ბ. მაჯავარიანს დაავიწყდა სცენაზე, რომ ის მაჯავარიანია და არა „ნ. გურული".*)

დამსწრე საზოგადოება დიდად ნასიამოვნები დაბრუნდა წარმოდგენიდგან და ზოგიერთი პატივ-სცემი პირი იმასაც ამბობდა: „მანეთიან ადგილში თუმანი რომ გადაგვესდა დასანანი არ იყო, დღეს ისეთი წარმოდგენა ვნახეთო".

ვისურვებთ, რომ ჩვენი სცენის მოყვარენი შემდეგშიაც ასე სინდისიერად და გულ-მოდგინედ დახვდნენ თავიანთ მძიმე მოვალეობას ავტორისა და საზოგადოების წინაშე.

მაყურებელი.

ტელეგრამები

ლონდონი. „Standard"-ს შანჭაიდგან ამბავი მოსდია 7 თებერვალს, რომ რადგან რუსეთის ჯარი ტიმბირში ამ ბოლოს დროს ძალიან იყრის თავს, ჩინეთის მთავრობამ, სიფრთხილის გამო, დიდ-ძალს ჯარს მოუყარა თავი მანჯურიაში და გერმანიაში რამდენიმე ათასი მგზავნის თოფი შეუკვეთა.

*) კორესპონდენტი აღტაცებით იხსენიებს პიესას, მაგრამ ჩვენ ეს ადგილი გამოვტოვეთ, რადგანაც ამ პიესის ავტორი დღეს ჩვენი თანამშრომელია.

ვენა. აქ ხმა დადის, რომ პანიცა და კიდევ ოთხი ათეტერი გუშინ დასვრიტეს სოფიაში. სტამბულოვს იმედი აქვს, რომ ეს ამბავი შეაშინებს და შეაფრთხობს იმ უკმაყოფილო ათეტრებს, რომელნიც პროვინციის ჯარებში ჭმსასურებენო.

ლონდონი. სოფიიდგან ამბავი მოვიდა: ოფიციალურმა გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ პანიცასა და დანარჩენთ შეთქმულობაში მონაიარეთ პრინცის ფერდინანდისა, სტამბულოვისა და მეტკურეოვის მოკვლა სდომებიათ. იმის მოლოდინი აქვთ, რომ სასამართლო გამოძიების დროს დაბაზრებს აგრეთვე ორს ადამიანს, რომელნიც მინისტრებად იყვნენ პრინცის ალექსანდრეს ტასტიდგან ჩამოგდების დროს. ყოველივე ლონის ძიება ნასამარა, რომ წესიერება და მშვიდობიანობა არ დაირღვეს.

„Times"-ი იუწყება, რომ პრინცის სასელით წოდებულ კავალერიის პოლკის ათეტრებმა გადასწყვიტეს შეუერთდნენ სტამბულოვის მოწინააღმდეგეთ. სოფიაში სამინისტრო კრიზისია, რადგან ეროხეკესა და სტამბულოვს შორის უთანხმება ჩამოვარდა. სტამბულოვმა თვით იტვირთა პოლიციის პრეფექტის მოვალეობა, რადგან სხვას არავის ანდო ეს თანამდებობა. სამშაბათს დღისით მინისტრებს თათბირი ჭქონდათ. პრინცმა ფერდინანდმა გამოაცხადა, რომ მზად კარ სამთავრონ თავი დაუანებო ახლავე, თუ ასეთის საქციელით შინაგანი მშვიდობიანობა შეურყეველად იქნება დაცულია. ამ ზრს უკვლა მინისტრი წინ აღუდგა. სტამბულოვის სახლს ღამ-ღამე დარაჯი უდგა. ბოლგარიის ჯარის სამსახურში მყოფთ ადარსად იოსოვენ. იმ ჯარების უფროსებს, რომელნიც დაბანაკებულია ბურღასსა, კარნსა, რუშჩუკსა, კიდინსა, ტარნოვოსა და ფილიპოპოლში, ებრძანათ, მეორედ უნდა ჩამოგერთვათ ფიცი, რომ ერთგულნი იქნებით პრინცის ფერდინანდისაო. სოფიის ჯარიდგან 500 კაცმა თავი უნდა დაანებოს დედა ქალაქს და წავიდეს პროვინციაში, სადგანაც იმათ მაგიერად იმდენივე ჯარი სოფიაში მიეკ. ფოსტის უწყების გამგე მმართველმა სასტიკი ცენზურა შემოიღო დეპეშებისათვის და შავი კაბინეტი გაჭმართა კორესპონდენტიისათვის. ასასხლეში ყარაულები ყოველ ორს საათში ერთსულ იცვლებიან. სოფიის რკინის გზის კოგზალს ჭდარაჯობს მთელი როტა და ყარაულები ყოველ საათს იცვლებიან.

„Нов. Вр." ში დაბეჭდილია დრეგანცანოვის მიერ პეტერბურგიდან გაგზავნილი წერილი, 15 იანვრის თარიღით დანიშნული და მიწერილი ბოლგარიაში მეგობრებთანა და მომხრეებთან. ამ წერილში ცანკოვი უარ-ჭყოფს გაზეთების ლაპარაკს, ვითომ იმისი მომხრენი მზად იყვნენ პრინც ფერდინანდი დაეცვათ. ბოლოს ცანკოვი ურჩევს თავის მეგობრებს, არჩევნებზე აიცილეთ მთავრობის აგენტების გაკვლენა და ძალ-მომრეობა ჯარებისაო.

სოფია. პანიცა რომ გასჩხრეკეს უპოგვეს წერილები ზედ წარწერით: მიერ თავს კაკარს ხოლოპეკოვსაო, რომელიც დაპატიმრებულია. ეს წერილები სიდუმლო ნიშნებით არის ნაწერი. მაგრამ, როგორც ამბობენ, ნიშნების სიადუმლოს მისვლენო. აქამომდე პანიცას პოლიციის ოსასამართლესათვის საუბარადღებო არა უთქვამს რა ჩვენებაზე. ბოლოს ხანს მოსულის ამბებიდამ სჩანს, რომ შეთქმულობის აზრად ეოფილა: პრინცი ფერდინანდი გაეტანანა და სტამბულოვი და მეტკურეოვი მოეკლათ.

ლონდონი. რუშჩუკში დაპატიმრებულ იქმნა რუსი ნადინი, რომელსაც ის ბრალი ედება, რომ ხოლოპეკოვთან ერთად პრინც კობურგელის წინააღმდეგ შედგენილს შეთქმულობაში ერია. ბოლტიანს სელში ჩაუგდია ხოლოპეკოვის წერილი, პანიცასთან მიწერილი, რომელშიაც ნათქვამია: კარგი დრო დაგვიდგა, რომ დავამსოთ ესლანდელი მმართველობა ბოლგარიისა, ხოლო ისე-კი უნდა დავამსოთ, რომ ამ დროს სისხლი სულ არ დაღვარეთო. გენერალის უმთავრეს ელჩს სოფიაში რუსეთის მთავრობის სასელით მოუთხოვნია, რომ მე გადმომეცით ხოლოპეკოვი, როგორც რუსეთის ქვეშევრდომი, მაგრამ პასუხი ჯერ არ შეუთვლია ბოლგარიის მმართველობას. სოფიისა, კიდინისა, ლეიბნის, შუმლის და რუშჩუკის გარნიზონების უფროსები დაუთხოვნიათ და იმათ ადგილს დაუნიშნავთ მაიორი მორინოვი, ბოჩკი, პეტროვი და დრანდარინსკი. სამხედრო სამინისტროს შტაბი შეცვლილ იქმნა.

ვენა. „Neue Freie Presse"-ში ნაოქვამია, რომ პანიცა და დანარჩენი იმის მოზიარე ათეტრები სამსასურიდგან დათხოვნილ და სამოქალაქო სამართალში მიცემულ იქმნენო.

ბერლინი. „Nord Deutsche Allgemeine Zeitung"-ი ამბობს, რომ, სეფერანგეთისა, ინგლისსა, ბელგიასა და შვეიცარიას გარდა, მოლაპარაკებაა გამართული მუშათა საქმის საერთაშორისოდ გადაწყვეტის შესახებ აგრეთვე იტალიასა, დანიასა და შვეიცასთანაო.

განცხადებანი

რადგანაც ამ ცოტა ხანში ახალი წიგნი უნდა დარიგდეს, ვთხოვ თეატრის ბ. აგენტებს გამოგვიგზავნონ სია ხელის მომწერელთა, რომელთაც ფული შემოიტანეს. «თეატრის» კანტ.

АГЕНТУРА КНИЖНАГО МАГАЗИНА

Гебетнера и Вольфа

ИЗЪ ВАРШАВЫ.

Дворцовая ул., каравансарай б. Арцруни, при справочной конторѣ Ш. Э. Давидова.

Принимаетъ подписку на всѣ варшавскія а равно иностранныя періодическія изданія по редакціоннымъ цѣнамъ. Посредничаетъ при выпискѣ книгъ на польскомъ, французскомъ, нѣмецкомъ и англійскомъ языкахъ.

Каталоги можно просматривать на мѣстѣ.

Дозволено цензурою 3 Февраля 1890 г. Тифлисъ. Типографія Гр. Чаркзіани. რედაქტორ-გამომცემელი ა. ნებიერიძე